

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის

საქართველოს ეროვნული პლატფორმის

მე-7 საერთო კრების ოქმი

2016 წლის 29 თებერვალს ჩატარდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მე-7 საერთო კრება. კრებას ესწრებოდა 86 წევრი ორგანიზაციის 130 წარმომადგენელი.

შეხვედრა გახსნა საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ, ბატონმა ლაშა ტულუშმა და ისაუბრა 2015 წლის მთავარ მოვლენებზე ევროპასთან ინტეგრაციის კუთხით, მათ შორის ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით დასრულების შესახებ და აღნიშნა, რომ ეროვნული პლატფორმა იზიარებს საქართველოს ევროპულ პერსპექტივას. კრებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ ბატონმა არჩილ ყარაულაშვილმა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსის მოადგილემ, ბატონმა შტეფან შთორქმა.

ბატონმა არჩილ ყარაულაშვილმა რთული საგარეო ურთიერთობების ფონზე, ყურადღება გაამახვილა არასამთავრობო სექტორისა და ხელისუფლების მჭიდრო ურთიერთობის აუცილებლობაზე, ხაზი გაუსვა საქართველოს ეროვნული პლატფორმის როგორც მთავრობასთან ასევე, პარლამენტთან ხელმოწერილ თანამშრომლობის მემორანდუმებს და კიდევ ერთხელ გამოხატა მზაობა განიხილონ პლატფორმის წევრი ორგანიზაციების წინადადებები და მაქსიმალურად გამოიყენონ მათი ექსპერტიზა. მან ასევე ისაუბრა ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმაზე (ქართულ-ევროპულ პლატფორმა) და აღნიშნა, რომ ახალი პლატფორმა კიდევ უფრო აძლიერებს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს არასამთავრობო სექტორის აქტიურ მონაწილეობას საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესებში.



საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების განყოფილების უფროსის მოადგილემ ბატონმა შტეფან შთორქმა ისაუბრა ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობასა და ამ მიმართულებით ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ძალისხმევაზე. ევროინტეგრაციის პროცესში საქართველოს ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ეროვნულ პლატფორმას, რათა სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად იყოს ჩართული, როგორც ასოცირების სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგში, ასევე სხვადასხვა პოლიტიკის შემუშავების პროცესებში.

საერთო კრების შემდეგ ნაწილში პლატფორმის თავმჯდომარემ, ლაშა ტულუშმა და ჯგუფების კოორდინატორებმა (I ჯგ: ირინა ფუტკარაძე/ნათია კუპრაშვილი; II ჯგ: კახა გოგოლაშვილი/მანანა წულაია; III ჯგ: ანზორ დუნდუა/მანანა დევიძე; IV ჯგ: ნუკრი ყველაშვილი; V ჯგ: ირაკლი პეტრიაშვილი) წარმოადგინეს პლატფორმის მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშები. მომხსენებლებმა დეტალურად მიმოიხილეს სამუშაო წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები, ისაუბრეს არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე.

კრების მიმდინარეობისას ჩატარდა პლატფორმის თავმჯდომარისა და სამუშაო ჯგუფების კოორდინატორების არჩევნები.

საარჩევნო პროცედურის დაწყებამდე, ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენლმა პროტესტის ნიშნად, უარი განაცხადა ეროვნული პლატფორმის არჩევნებში მონაწილეობაზე „ეროვნული პლატფორმის სისტემური რეფორმირების განუხორციელებლობის გამო“.

ენერგოეფექტურობის ფონდის საპროტესტო განცხადება ამ ოქმს თან ერთვის. (დანართი1)

პლატფორმის თავმჯდომარედ დასახელდა ორი კანდიდატი:

- ქეთევან ჩაჩავა - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი;
- კახა გოგოლაშვილი-საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი

თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 84 ორგანიზაციამ. კენჭისყრის შედეგად, ხმები შემდეგნაირად განაწილდა: ქეთევან ჩაჩავა - **25 ხმა**; კახა გოგოლაშვილი - **74 ხმა**.

კენჭისყრის შედეგების შესაბამისად, პლატფორმის თავმჯდომარედ არჩეული იქნა კახა გოგოლაშვილი.



საერთო კრება ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში

კოორდინატორების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 84 ორგანიზაციამ. კენჭისყრის შედეგად ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

I სამუშაო ჯგუფი

1. მაკა ჯახუა, ასოციაცია და რადიო "მწვანე ტალღა" – **13 ხმა**
2. ანა ნაცვლიშვილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - **53 ხმა**
3. გიორგი კლდიაშვილი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი - **53 ხმა**
4. რამაზ აფციაური, საქართველოს გაეროს ასოციაცია - **10 ხმა**
5. ია მამალაძე, საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრი - **29 ხმა**

II სამუშაო ჯგუფი

1. ლია თოდუა, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი - **46 ხმა**
2. თენგიზ სვანიძე, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი" – **36 ხმა**
3. მანანა წულაია, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა" – **32 ხმა**
4. დავით ცისკარიძე, საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი - **16 ხმა**
5. გიორგი ონიანი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო - **29 ხმა**

III სამუშაო ჯგუფი

1. ანზორ დუნდუა, საქართველოს ენერჯო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია - **56 ხმა**
2. მანანა დევიძე, ფონდი "კავკასიის ეკოლოგია" – **52 ხმა**
3. მანანა ქოჩლაძე, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" – **44 ხმა**

IV სამუშაო ჯგუფი



საერთო კრება ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში

6. მარინე სოლომონიშვილი, საერთაშორისო ფონდი "ლეა" – **25 ხმა**
7. ნუკრი ყველაშვილი, ახალგაზრდული ალტერნატივა - **51 ხმა**
8. ლადო ბოჭაძე, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი - **36 ხმა**
9. მიხეილ მირზიაშვილი, სტუდია „რე“ – **31 ხმა**
10. სალომე ადამია, საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტები - **19 ხმა**

V სამუშაო ჯგუფი

1. ირაკლი პეტრიაშვილი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება - **71 ხმა**
2. მარიამ ოზაშვილი, საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო – **59 ხმა**

საერთო კრებაზე „განათლებისა და მეცნიერების ქვეჯგუფი“-ს წევრებმა კოორდინატორად აირჩიეს ბატონი გიორგი ჭილაძის კანდიდატურა, ხოლო კულტურის საკითხებზე მომუშავე ქვეჯგუფმა კოორდინატორის პოზიციაზე, მეორე ვადით, აირჩია ქალბატონი მარინე სოლომონიშვილი.

შეხვედრის დასკვნით ეტაპზე, დისკუსიის შემდეგ, კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ასოცირების ხელშეკრულების 412 მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის არჩეულ თვრამეტევე წარმომადგენელს, უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდეს 2017 წლის საერთო კრებამდე.

